



დაპოუქიდეგედი ინსპექტორის სამსახური

OFFICE OF INDEPENDENT INSPECTOR

საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში

2021 წლის
მესამე კვარტალი

თბილისი
2021

სარჩევი

შესავალი	3
1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია	4
2. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის	5
ავტორთა შესახებ	5
3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად	6
4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად	7
5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად	8
6. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომების შესახებ	9
7. სტატისტიკური ინფორმაცია გადაცდომის სახეებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად	10
7.1 საპროცესო ვადის დარღვევა	10
7.2 მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს	10
7.3 მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა	11
7.4 სხვა გადაცდომის სახეები	11
8. დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების სტატისტიკა	12
9. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ	13
10. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ	14



შესავალი

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მომზადდა კვარტალური ანგარიში, რომელიც მოიცავს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას 2021 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.

დოკუმენტში წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულია საჩივრის ავტორთა, საქმეთა კატეგორიების, სასამართლო ინსტანციების, დისციპლინური გადაცდომებისა და მომზადებული დასკვნების შესაბამისად.

2021 წლის მესამე კვარტალში, სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, აქტივობების გარკვეული ნაწილი განხორციელდა. კამპანიის „გაიგე მეტი დისციპლინურ სამართალწარმოებაზე“, ფარგლებში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა სამუშაო შეხვედრა გამართა რამოდენიმე უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელთან და შეხვედრის შედეგად ერთობლივი აქტივობები დაიგეგმა.


პანდემიის მიუხედავად, დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერებისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური კვლავაც აგრძელებს გარკვეული აქტივობების განხორციელებას.



1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა 2021 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით განსახილველად მიიღო 42 დისციპლინური საჩივარი.

საანგარიშო პერიოდში ფორმის დაუცველად შემოსულია 25 წერილი, რის შემდეგაც საჩივრის ავტორებს გაეგზავნათ საჩივრის ფორმა და შევსების დეტალური ინსტრუქცია.



დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ საჩივრების შესწავლის მიზნით, გაიგზავნა 32 წერილი და გამოთხოვილია წინასწარი მოკვლევითი საჭირო შესაბამისი ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში, ცხელი ხაზის საშუალებით კონსულტაცია 40-მდე მოქალაქემ მიიღო.




2. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური საჩივრის ავტორთა შესახებ

საჩივრის ავტორთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება სასამართლოში მიმდინარე საქმეში მათი სტატუსის შესაბამისად მოხდა.¹

2021 წლის მესამე კვარტალში საჩივრის ავტორთა უმრავლესობას წარმოადგენენ სასამართლოში მიმდინარე დავის მხარეები. მათმა საერთო რაოდენობამ 62% შეადგინა. წარმომადგენელთა მიერ შემოტანილი საჩივრების რაოდენობის მაჩვენებელი 31%-ია, ხოლო დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილმა საჩივრებმა 7%-ს მიაღწია.

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სამართალწარმოება არ დაწყებულა სახალხო დამცველის ანგარიშის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციისა, თუ მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.




¹ საჩივრის ავტორებს წარმოადგენენ: მხარეები, წარმომადგენლები (კანონიერი წარმომადგენლები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, ადვოკატები), დაინტერესებული პირები (საქმეში მონაწილე მხარის ოჯახის წევრი, სხდომაზე დამსწრე ან ნებისმიერი სხვა პირი), სახალხო დამცველი. ასევე, დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციასა და მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.



3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

2021 წლის მესამე კვარტალში შემოსული საჩივრების უმრავლესობა სამოქალაქო სამართლის საქმეებს შეეხება და მათი პროცენტული მაჩვენებელი 52%-ს შეადგენს. სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა 24%-ია, ხოლო ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა განხილვის პროცესში მოსამართლეთა მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე საჩივრების 19%-ია წარმოდგენილი.




ამასთან, საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყო 2 საჩივარი, რომელიც არცერთი კატეგორიის საქმიდან არ მომდინარეობდა.



4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესახებ


საქმეთა განზოგადების შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის მესამე კვარტალში საჩივრების 72% პირველი ინსტანციის მოსამართლეებს შეეხება, მეორე ინსტანციის მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 24%, ხოლო მესამე ინსტანციის მოსამართლეთა მიმართ - 4% იყო წარმოდგენილი.





5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად

საანგარიშო პერიოდში წინასწარი მოკვლევასათვის წარმოებაში არსებული 42 საჩივარი 48 მოსამართლეს ეხება.² მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა სასამართლო ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად შემდეგნაირად ნაწილდება:



შემოსული საჩივრების მაჩვენებლისა და აღნიშნულ საჩივრებში მოსამართლეთა შესახებ მონაცემების გაანალიზების შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ შემოსული საჩივრების 35.4% პირველი ინსტანციის სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეებს შეეხება. ამავე ინსტანციის ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა 14.5%-ს შეადგენს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 12.5%-ია წარმოდგენილი.

რაც შეეხება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, აღნიშნული ინსტანციის სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 14.5%-ია წარმოდგენილი, ხოლო ადმინისტრაციულ სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ 2%. ამასთან, სააპელაციო ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა კატეგორიის განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საჩივართა 16.6% იყო წარმოდგენილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საჩივრების 2-2%-ია წარმოდგენილი, ხოლო ამავე ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა კატეგორიის განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საჩივარი საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა წარმოდგენილი.

² აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოსამართლე განიხილავს სამი ან ორი კატეგორიის საქმეს. ამასთან, ზოგიერთი მოსამართლის მიმართ წარმოდგენილია რამდენიმე საჩივარი. შესაბამისად, განსხვავდება მოსამართლეთა რაოდენობა შემოსული საჩივრებისა თუ კატეგორიებში მოსამართლეთა რაოდენობისგან.



6. სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს 20 სხვადასხვა სახის დისციპლინურ გადაცდომას. საანგარიშო პერიოდში საჩივრები მხოლოდ 7 სხვადასხვა ქვეპუნქტში ასახულ ქმედებას შეეხებოდა. მათი უმრავლესობა საპროცესო ვადის დარღვევასა და მოსამართლის შეუფერებელ ქმედებაზეა წარმოდგენილი. ამასთან, მხოლოდ კანონიერება სადავოდ იყო გამხდარი 5 საჩივარში, ხოლო 2 საჩივარში კანონიერებასთან ერთად საჩივრის ავტორები დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზეც უთითებდნენ.





7. სტატისტიკური ინფორმაცია გადაცდომის სახეებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

მნიშვნელოვანია ცალკე გამოვყოთ ინფორმაცია, წარმოდგენილ საჩივრებში, ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების მიხედვით რომელი გადაცდომის სახე ჭარბობს. წინამდებარე თავში წარმოდგენილია 40 დისციპლინურ საჩივარში მითითებული გადაცდომის სახეების ანალიზი და სტატისტიკა.

7.1 საპროცესო ვადის დარღვევა

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტზე წინასწარი მოკვლევა მიმდინარეობდა 15 საჩივრის საფუძველზე.

საჩივრები ძირითადად შეეხებოდა სამოქალაქო საქმეებს, რომლებსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები განიხილავდნენ.



7.2 მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს

დისციპლინური გადაცდომის სახე - მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს, მსჯელობის საგანი გახდა 10 საჩივარში.


აღნიშნული საჩივრები უმეტესწილად პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს შეეხებოდა.



7.3 მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა

მოსამართლის მიერ სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის საფუძველით წარმოდგენილი იყო 5 საჩივარი. აღნიშნული საჩივრები შეეხებოდა როგორც რაიონულ/საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეებს.


საჩივრები შეეხებოდა ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეებს.



7.4 სხვა გადაცდომის სახეები

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობდა 9 საჩივარზე, რომელიც შეეხებოდა 4 სავარაუდო გადაცდომას ესენია: აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმას, მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით; მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით; მოსამართლის მიერ პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარება უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან, რაც იწვევს მოსამართლის მიკერძოებას ან/და პროცესის მონაწილესთვის უპირატესობის მინიჭებას, თუ მას ჰქონდა ინფორმაცია მხარის შესახებ.

ამ შემთხვევებში ყველაზე მეტი საჩივარი პირველი ინსტანციის სამოქალაქო სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ იყო წარმოდგენილი.






8. დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში აქტის კანონიერების საფუძვლით წარმოდგენილი საჩივრებიდან წინასწარი მოკვლევა დასრულდა 15 საჩივარზე.³ აღნიშნული საჩივრების მოკვლევის შედეგად დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიღო 22 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ.⁴ მათ შორის:

- ✓ 17 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საჩივარი მხოლოდ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას შეეხებოდა;
- ✓ 5 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ.

17 გადაწყვეტილება, რომელზეც დისციპლინური სამართალწარმოება მხოლოდ კანონიერების შემოწმების საფუძვლით შეწყდა შეეხებოდა:



³ მიმდინარე კვარტალში დისციპლინური საქმის წინასწარი მოკვლევა დასრულდა 2021 წლის მეორე კვარტალში მიღებულ ოთხ, მესამე კვარტალში მიღებულ 11 საჩივარზე.


⁴ გადაწყვეტილებები მიღებულია ინდივიდუალური მოსამართლეების მიმართ. შესაბამისად, საჩივრების რაოდენობა განსხვავებულია მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობისგან.



9. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ 30 საჩივარზე მომზადდა 29 დასკვნა⁵ 45 მოსამართლის მიმართ.

აღნიშნული დასკვნები შეეხებოდა ვადის დარღვევის შესაძლო ჩადენის 18 ფაქტს, შეუფერებელი ქცევის 9 ფაქტს, პირადი ინტერესის შესახებ 5 ფაქტს, უპატივცემულობის გამოხატვის 4 ფაქტს, აცილებაზე უარის თქმის 1 ფაქტს, საქმის განხილვის შედეგის წინასწარ გამჟღავნების ერთ და მეგობრული ურთიერთობის დამყარების ერთ ფაქტს.⁶



დამცველის დახმარების უფლებითა და დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია, ისევე როგორც თვითაცილების უფლება დამოუკიდებელ ინსპექტორს არ გამოუყენებია.

⁵ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁹ მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებით ორი საჩივარი გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა ერთი ნომერი.

⁶ რიგ შემთხვევებში საჩივრის ავტორები ერთდროულად რამდენიმე შესაძლო გადაცდომაზე უთითებენ. შესაბამისად, საჩივრების რაოდენობა და საჩივრებში მითითებული სავარაუდო გადაცდომის სახეების რაოდენობა განსხვავებულია.



10. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ

საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განხილვის მიზნით ჩაატარა 1 სადისციპლინო სხდომა.

სხდომაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა დამოუკიდებელი ინსპექტორის 50 დასკვნა⁷ და მიიღო 55 გადაწყვეტილება⁸ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ განხილული 50 დასკვნიდან 17 საქმეზე რიგ ფაქტებთან მიმართებით არსებობდა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. ერთ საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაეთანხმა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნას და მოსამართლის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა, ხოლო 16 საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ხმათა 2/3-ით ვერ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლეთათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ, რის გამოც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁸ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არცერთ წევრს განსხვავებული მოსაზრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ წარუდგენია. ამასთან, სხდომის გასაჯაროების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია.

⁷ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასკვნებს განიხილავს, როგორც წესი, საჩივართა რეგისტრაციის თარიღის შესაბამისად. სხდომებზე განხილულ იქნა 2019 წლის 22 და 2020 წლის 28 საჩივრების საფუძველზე მომზადებული დასკვნები.

⁸ დისციპლინურ საჩივარში მითითებულ მოსამართლეთა რაოდენობის მიუხედავად დამოუკიდებელი ინსპექტორი ერთ დისციპლინურ საჩივარზე ამზადებს ერთ დასკვნას, რომელშიც თითოეული მოსამართლის ქმედებას ინდივიდუალურად აფასებს და მომზადებულ დასკვნას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას თითოეული მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე ინდივიდუალურად იღებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარდგენილი დასკვნებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა განსხვავებულია.